

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №491

2014 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების თანდართული წესები (დანართი №1);

ბ) ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა თანდართული რუკების სახით (დანართი №2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები

მუხლი 1. ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების რეგულირების საგანი და მიზანი

1. ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის (შემდგომში – ბაკურიანის ტერიტორია) გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (შემდგომში – წესები) არეგულირებს უძრავი ნივთების განვითარების, გამოყენებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს.

2. წესების მიზანია მშენებლობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების გამოყენებისა და განაშენიანების პირობების დადგენა.

მუხლი 2. ბაკურიანის ტერიტორიის ზონირების დოკუმენტების შემადგენლობა

1. ბაკურიანის ტერიტორიის ზონირების დოკუმენტებია მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირებისა და მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტები.

2. მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირების დოკუმენტი მოიცავს:

ა) ზოგად ფუნქციურ ზონებს;

ბ) ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებს;

გ) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებს;

დ) კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდამცავ ზონებს.

3. მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტები მოიცავს:



- ა) ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების პირობებს;
- ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების, განაშენიანების ინტენსივობისა და გამწვანების კოეფიციენტებს;
- გ) კონკრეტულ ფუნქციურ ზონებს;
- დ) კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდაცვით კონკრეტულ ზონებს.

მუხლი 3. ფუნქციური ზონები

1. ბაკურიანის ტერიტორიაზე გამოყოფილია ზოგადი და კონკრეტული ფუნქციური ზონები.
2. ზოგადი ფუნქციური ზონებია:

ა) საცხოვრებელი ზონა (სზ);

ბ) სარეკრეაციო ზონა (რზ) - ზონა, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) სატრანსპორტო ზონა (ტზ);

დ) სპეციალური ზონა (სპეცზ) - სპეციალური ზონა' - (სპეცზ') სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორიები;

ე) სამრეწველო ზონა (ს);

ვ) სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ).

3. კონკრეტული ფუნქციური ზონებია:

ა) საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) - დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, სამეზობლო თემის პრინციპის დაცვით. მისი კოეფიციენტებია:

ა.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;

ა.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 1,3;

ა.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2;

ბ) საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) – საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, სამეზობლო თემის პრინციპის დაცვით. მისი კოეფიციენტებია:

ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 1,8;

ბ.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

გ) სარეკრეაციო ზონა' (რზ');

დ) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ზონა, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების



საზღვრებში და მოიცავს ქუჩებს (მათ შორის, ტროტუარები), მოედნებს, ღია ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებსა და მატარებლების სადგომ ტერიტორიებს (დეპოები);

ე) სასოფლო-სამეურნეო ზონა' (სოფზ');)

ვ) სპეციალური ზონა' (სპეცზ');

ზ) სამრეწველო ზონა 1 (ს-1) – ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1-ის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1 განსაზღვრავს კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვებ შენობა-ნაგებობების განთავსება.

2. კ-1 კოეფიციენტი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის მიწისპირა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობით და მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობას არ გააჩნია მიწისპირა სართული, კ-1 კოეფიციენტი განისაზღვრება პირველი მიწისზედა სართულის იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობით.

4. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტით განსაზღვრულ საანგარიშო ფართობში არ შედის:

ა) შენობა-ნაგებობების მიწისქვეშა სართულ(ებ)ი;

ბ) ქუჩის ზედაპირის დონეზე შენობაში მოწყობილი ავტომობილის გასასვლელი;

გ) შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2

1. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 განსაზღვრავს ცალკეულ ზონაში კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამურ ფართობს.

2. კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის გარე კონტურში მოქცეული ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

ბ) არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის 1/2-ით;

გ) სხვენში მოწყობილი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს სრულ სართულს – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 3/4-ით;

დ) სხვენში მოწყობილი მანსარდა, რომელიც წარმოადგენს არასრულ სართულს კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სხვენის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობის 1/3-ით;

ე) მიწისპირა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირისა და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 60 კვ.მ-ზე მეტია – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;



ვ) შენობისა და ქუჩის ზედაპირის გადაკვეთის დონე(ებ)ზე, შენობაში ავტომობილის გასასვლელად მოწყობილი გვირაბის გზის ზედაპირის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 50 კვ.მ-ზე მეტია – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

ზ) პირველ მიწისზედა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირისა და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 60 კვ.მ-ზე მეტია – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

თ) პირველი მიწისზედა სართულის გარდა, სხვა მიწისზედა სართულზე არსებული კიბის უჯრედის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირისა და შესაბამის სართულზე არსებული ლიფტის შახტის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც 40 კვ.მ-ზე მეტია – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

ი) აივნის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის საერთო ფართობის ის ნაწილი, რომელიც გამოწეულია შენობა-ნაგებობის ფასადის გარე კედლიდან 1,5 მ-ზე მეტი მანძილით – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად;

კ) ვერანდის, ერკერის, ლოჯიის იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად.

3. კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

მუხლი 6. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3

1. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 არის მიწის ნაკვეთის კაპიტალური შენობა-ნაგებობებით დაუფარავი ზედაპირის მიწის ნაკვეთის ფართობის შეფარდება მიწის ნაკვეთის ფართობთან მეათედის სიზუსტით.

2. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3-ით განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული ან გადაფარული რაიმე წყალგაუმტარი (სამშენებლო თუ სხვა) მასალით, რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ნაგებობა ან სათავსო და რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის.

მუხლი 7. კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდამცავი ზონები

1. უფლებრივი ზონების დადგენისას, როდესაც ხდება ფუნქციური ზონების გადაფარვა კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდამცავი ზონებით, აღნიშნული ტერიტორიის საზღვრებში მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოსდამცავი ზონებისათვის განსაზღვრული რეგულირება.

2. ტერიტორიებზე, რომლებიც მოქცეულია გეგმარების შემზღუდავი პირობების საზღვრებში, უპირატესად მოქმედებს ამ ზონებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.

მუხლი 8. არსებული ზონების ცვლილების პირობები

1. არსებული ზონების ცვლილება არის ცვლილება ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებში და ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. არსებული ზოგადი ფუნქციური ზონების ცვლილება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით:

ა) ამ წესებით განსაზღვრული ყველა არსებული ფუნქციური ზონისა - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონად;



ბ) ამ წესებით განსაზღვრული ყველა არსებული ფუნქციური ზონისა, გარდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა - სარეკრეაციო ზონად;

გ) ამ წესებით განსაზღვრული სამრეწველო ზონა 1-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი და საცხოვრებელი ზონებისა - სასოფლო-სამეურნეო ზონად;

დ) სამრეწველო და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისა - საცხოვრებელ ან სატრანსპორტო ზონად.

3. არსებული კონკრეტული ფუნქციური ზონების ცვლილება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით:

ა) სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ისა სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ად;

ბ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ისა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ად;

გ) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ისა - ყველა სხვა საცხოვრებელ ზონად, გარდა საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4)-ისა და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ისა;

დ) საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ისა - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ად და საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ად;

ე) საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ისა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ად.

მუხლი 9. სპეციალური ზონალური შეთანხმება

1. სპეციალური ზონალური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული კ-2 კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდას, დასაშვებია განაშენიანებული ტერიტორიების სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, მათ შორის, საცხოვრებელ ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში.

2. საცხოვრებელ ზონაში სპეციალური ზონალური შეთანხმებისას დასაშვებია არსებული კ-2 კოეფიციენტის მაქსიმუმ 10%-ით გაზრდა.

3. საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში სპეციალური ზონალური შეთანხმებისას დასაშვებია არსებული კ-2 კოეფიციენტის მაქსიმუმ 20%-ით გაზრდა.

4. თუ ნებართვის მაძიებელს სურს გაზარდოს კ-2 კოეფიციენტის სიდიდე, მიწის ნაკვეთ(ებ)ის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე შესაბამის განცხადებაში უნდა აღნიშნოს მოთხოვნა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების შესახებ.

5. სპეციალური ზონალური შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ამ წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობა და განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამობა

1. მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ წესების მოთხოვნებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსი.

2. მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც თავისი მახასიათებლებით არ შეესაბამება შესაბამისი ზონის განაშენიანების რეგულირების მოთხოვნებს და რომელთა შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, ენიჭება განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსი.

3. შეუსაბამო და განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების შემდგომი განვითარება (ტერიტორიის გაფართოება, ფუნქციის შეცვლა, რეკონსტრუქცია) ხორციელდება შეუსაბამობის აღმოფხვრის ან შემცირების პირობით. შემცირების პირობები შესაძლებელია



განსაზღვროს ეტაპობრივად, საბოლოო აღმოფხვრის მიზნით.

4. შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში, შეუსაბამო სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებებს ეხსნება შეუსაბამო სტატუსი.


მუხლი 11. მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა და მათი ნაწილების საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში შეჭრა

მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა და მათი ნაწილების საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში შეჭრის საკითხები რეგულირდება „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების შესაბამისად.



**ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის
მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა**

ბაკურიანი




მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

სავალდებულო რუკები

- 1.1 ტერიტორიის ზოგადი ფუნქციური ზონირების რუკა
- 1.2 ტერიტორიის კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა
- 1.3 ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა
- 1.4 გეგმარებითი შეზღუდვების რუკა
- 1.5 გეგმარებითი წინადადებების სქემა

თემატური რუკები

- 2.1 გორჯომა-ბაკურიანის რეგიონის რუკა
- 2.2 ბაკურიანის სარეკრეაციო ზონა
- 2.3 ბაკურიანი-ანდეზიტი-ცინისჯვარის აეროფოტოგადაღება
- 2.4 ორთოფოტო სურათი
- 2.5 საყრდენი გეგმა
- 2.6 უძრავი ქონების საკუთრების ფორმა
- 2.7 მიწის გამყვანების ტიპი
- 2.8 შენობათა დანიშნულება
- 2.9 შენობათა აშენების პერიოდი
- 2.10 შენობათა ფიზიკური მდგომარეობა
- 2.11 შენობათა სართულიანობა
- 2.12 სოციალური ინფრასტრუქტურა
- 2.13 სანიჟინრო ინფრასტრუქტურა (ელექტრომომარაგება)
- 2.14 სანიჟინრო ინფრასტრუქტურა (გაზმომარაგება)
- 2.15 სანიჟინრო ინფრასტრუქტურა (წყალმომარაგება,
საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე კანალიზაცია)
- 2.16 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მრეწველობა
- 2.17 არსებული სპორტული ობიექტები
- 2.18 დაგეგმილი სპორტული ობიექტები
- 2.19 გუნებრივი პირობები და კულტურული მემკვიდრეობა
- 2.20 ნაკვეთების განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1)
- 2.21 ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2)
- 2.22 ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3)




სიმბოლო-ლეგენდა	
[Red square]	საქართველოს საზღვარი
[Green square]	საქართველოს საზღვარი
[Light green square]	საქართველოს საზღვარი
[Yellow square]	საქართველოს საზღვარი
[Purple square]	საქართველოს საზღვარი
[Blue square]	საქართველოს საზღვარი
[Brown square]	საქართველოს საზღვარი
[Orange square]	საქართველოს საზღვარი
[Pink square]	საქართველოს საზღვარი
[Grey square]	საქართველოს საზღვარი
[Light blue square]	საქართველოს საზღვარი
[Dark blue square]	საქართველოს საზღვარი
[Black square]	საქართველოს საზღვარი
[Yellow square]	საქართველოს საზღვარი
[Red square]	საქართველოს საზღვარი
[Blue square]	საქართველოს საზღვარი
[Black square]	საქართველოს საზღვარი
[Red square]	საქართველოს საზღვარი

2.3.

2006

გაკურიანი

მინერალბავშვების მინერალური ბაზაა
გაკურიანი-ანდოზიტი-ცინისჯურის სარეზერვუარული
პანორამა 1:25 000




საქართველო (სსრკ)

საქართველოს რეზერვუარული


გაკურინანი

მინათსარგებლობის მინერალური მანძილი
ორთოფოტო სურათი

მასშტაბი 1 : 6 000




საქართველოს რეპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
სამსახური




სიმბოლოები (Legend)

- სასახლეთა რაიონი




სიმბოლო-კოდები

- მინის საბუნების რაიონი
- სასოფლისმცენარეობა
- მინის საბუნების
- ხეივანი
- სასოფელი
- სასოფლისმცენარეობა
- სასოფლისმცენარეობა
- სასოფელი



სიმბოლო-დანიშნულება

- სასახლეთა რაიონები
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლე
- სასახლე
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლე
- სასახლე
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლეთა კომპლექსები
- სასახლეთა კომპლექსები



მანერალური მანება

მანერალური მანება





გაკურინანი

მონათსარგებლოების გენერალური გეგმა
სტრატეგიული ინფრასტრუქტურა
მასშტაბი 1:3 500




სტრატეგიული ინფრასტრუქტურა

[Red square]	საბინაო
[Orange square]	საინჟინერო
[Blue square]	საგზო
[Light blue square]	საჰაერო
[Yellow square]	საგზაობა
[Green square]	საგზაობა
[Purple square]	საგზაობა
[Grey square]	საგზაობა
[Black square]	საგზაობა
[White square]	საგზაობა
[Light blue square]	საგზაობა
[Dark blue square]	საგზაობა
[Red line]	საგზაობა


გაკურინანი

მონათსარგებლოების გენერალური გეგმა
 სანიმუნიერო ინფრასტრუქტურა
 (გზაღმშენებლობა, საჰაეროგზავრა და სანიაღვრე კანალიზაცია)
 მასშტაბი 1 : 6 000



სიმბოლოები


- სასაზღვრო ხაზი



სიმბოლოები


- მდინარე
- საზღვარი
- სპორტული ობიექტი
- სპორტული ობიექტი
- სპორტული ობიექტი
- სპორტული ობიექტი

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო საზღვრების რეგისტრაციის სააგენტოს მიერ შედგენილი




საზღვრო საზღვარი

- საზღვრო საზღვარი
- საზღვრო საზღვარი
- საზღვრო საზღვარი
- საზღვრო საზღვარი
- საზღვრო საზღვარი



ბაკურიანი

მინათსარგებლობის მენეჯერული გეგმა
ნაკვეთების განმარტების კომპიუტერული (კ-3)
მასშტაბი 1:6 000



სიმბოლოები

[Dark Green Box]	საფრინველი
[Medium Green Box]	საფრინველი
[Light Green Box]	საფრინველი
[Yellow-Green Box]	საფრინველი
[Yellow Box]	საფრინველი
[White Box]	საფრინველი
[Black Box]	საფრინველი
[Blue Box]	საფრინველი
[Grey Box]	საფრინველი
[Red Line]	საფრინველი